„განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრის“ ხედვა

„საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტთან დაკავშირებით

აღნიშნული დოკუმენტი მომზადებულია არასამთავრობო ორგანიზაცია „განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრის“ მიერ, რომელიც საქართველოს პარლამენტის 81 დეპუტატის მიერ ინიცირებული "საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილ ებების შეტანის თაობაზე" საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის ფარდობითი უპირატესობების, გამოწვევებისა და საჭიროებების შეფასებას ეფუძნება.

კანონპროექტის დადებითი მხარეები

1. **პროპორციულობა** - უზრუნველყოფილ იქნება პარტიის მიერ მიღებულ მანდატთა რაოდენობისა და მიღებულ ხმათა რაოდენობის პროპორციულობა. *ამასთან ერთად, რაც უფრო დიდია საარჩევნო ოლქის სიდიდე (მაგნიტუდა), მით უფრო პროპორციულია შედეგები (მანდატების რაოდენობა მიღებულ ხმებთან მეტად არის შესაბამისობაში).*

2. **ამომრჩევლთა საარჩევნო ხმის თანაბარწონადობა** - საარჩევნო ოლქების მიხედვით რეგისტრირებულ ამომრჩეველთა ერთსა და იმავე რაოდენობას არჩევის თანაბარი შესაძლებლობა ექნება.

3. **ტერიტორიული წარმომადგენლობის პრინციპის შენარჩუნება.** რაც უზრუნველყოფს გეოგრაფიულ კავშირს ამომრჩეველს და არჩეულს შორის.

4. **საარჩევნო სისტემის სიმარტივე -** არ საჭიროებს მაჟორიტარული არჩევნების მეორე ტურისა და შულედური მაჟორიტარული არჩევნების გამართვას. ამომრჩეველზე გაიცემა მხოლოდ ერთი სახის საარჩევნო ბიულეტენი.

5. **ფინანსურად ნაკლებ ხარჯიანი -** საჭიროებს ნაკლები რაოდენობისა და სახეობის ბიულეტენს. ბიულეტენები დაიბეჭდება მხოლოდ ტერიტორიული წარმომადგენლობისათვის („მხარეებისთვის“).

6. **საარჩევნო ზღურბლის შემცირება 5-დან 4%-მდე** - რაც პოლიტიკურ პარტიებს განვითარების უფრო მეტ შესაძლებლობას მისცემს, შეამცირებს ე.წ. „დაკარგული ხმების“ რაოდენობას და უზრუნველყოფს სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულების მოსახლეობის ჯგუფების წარმომადგენლობას პარლამენტში.

7. **საარჩევნო სუბიექტებისთვის გაუნაწილებელი მანდატების 6- მდე შევსების წესის გაუქმება.**

კანონპროექტში გასათვალისწინებელი რეკომენდაციები

1. **პოლიტიკური გაერთიანებებისა და საარჩევნო ბლოკებისთვის დადგინდეს გასხვავებული ზღურბლი.** (როგორც ეს დადგენილია პირობითად პოლონეთისა და ჩეხეთის ქვეყნების შემთხვევაში).
   <u>მაგალითად:</u> შემოთავაზებულ ვარიანტში: პარლამენტის წევრთა მანდატები მიეკუთვნოს იმ პოლიტიკურ გაერთიანებებს, რომლებიც მიიღებენ ყველა მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქის მიხედვით არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის ხმების 4 პროცენტს მაინც და იმ საარჩევნო ბლოკებს, რომლებიც მიიღებენ ყველა მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქის მიხედვით არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის ხმების 6 პროცენტს მაინც.

2. 49-ე მუხლის პირველი პუნქტის წარმოდგენილ რედაქციას დაემატოს ფრაზა ***„ეროვნული საკომპენსაციო ელემენტით“*** და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:
   „საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლით გათვალისწინებული პირობების შექმნამდე საქართველოს პარლამენტი შედგება 4 წლის ვადით არჩეული 150 პარლამენტის წევრისაგან. პარლამენტის წევრები აირჩევიან საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, პროპორციული საარჩევნო სისტემით, მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქების მიხედვით, ეროვნული საკომპენსაციო ელემენტით.“

კანონპროექტის გამოწვევები

1. **დამოუკიდებელი კანდიდატების მონაწილეობის საკითხი.** სიით პროპორციული წარმომადგენლობა გამორიცხავს დამოუკიდებელი კანდიდატების არსებობას, რაც უზღუდავს მათ უფლებას მოხვდნენ საკანონმდებლო ორგანოში. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მნიშვნელოვანია მოქმედი კანონმდებლობით დარეგულირდეს დამოუკიდებელი კანდიდატების მონაწილეობის საკითხი.

2. **ქვეყნის გარეთ არჩევნების ჩატარების საკითხი.** მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქის მიხედვით სიით პროპორციული წარმომადგენლობის სისტემა **ართულებს** (განსაკუთრებით შეჯამების პროცედურას, ვინაიდან ეროვნულ დონეზე საარჩევნო ბიულეტენი უქმდება) და **ფინანსურად მეტად ხარჯიანს** ხდის (საკონსულოებში/ საელჩოებში უნდა გაიგზავნოს ყველა სახის ბიულეტენი) ქვეყნის გარეთ არჩევნების ჩატარებას. ქვეყნის გარეთ მყოფი ამომრჩევლისათვის არჩევნებში მონაწილეობის უფლების უზრუნველსაყოფათ შესაძლებელია განხილული იყოს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების საკითხი, მაგალითად ესტონეთის მსგავსად შესაძლებელია დაინერგოს ინტერნეტით ხმის მიცემის პრეცენდენტი.